გეგმიური ვაქცინაციის სახელმწიფო პოლიტიკა და მოსახლეობის ნდობის ფაქტორი საქართველოში

ნინო არქანია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო არქანია

(21.06.2026)

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში გეგმიური ვაქცინაციის სახელმწიფო პოლიტიკისა და მოსახლეობის ნდობის ფაქტორს შორის ურთიერთკავშირის ემპირიულ შესწავლას. კვლევა ბავშვების მშობლებს შორის ვაქცინაციისადმი ნდობის სტრუქტურის, ვაქცინაციის ქცევის განაწილების და ნდობა-ქცევის სტატისტიკური კავშირის გამოვლენას ისახავდა მიზნად.

კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. 396 რესპონდენტზე (არასრულწლოვანთა მშობლები) ჩატარდა სტრუქტურირებული გამოკითხვა ხუთ ელემენტიანი Likert-ის ტიპის ნდობის სკალის გამოყენებით. მონაცემთა ანალიზი მოიცავდა Cronbach-ის ალფა კოეფიციენტს, Pearson-ის კორელაციას და ხაზოვან რეგრესიულ ანალიზს. კვლევის ინსტრუმენტის სანდოობა შეფასდა Cronbach's $\alpha = 0.957$ მაჩვენებლით, რაც სანდოობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულ მშობელთა შორის ვაქცინაციისადმი ნდობის საშუალო დონე ზომიერ-მაღალია ($M = 3.82$, $SD = 0.95$). გამოკითხულთა 74.2% მიუთითებს მათი შვილის სრულ ვაქცინაციაზე, 21.2% — ნაწილობრივ, ხოლო 4.5% — ვაქცინაციის სრულ არარსებობაზე. სტატისტიკურმა ანალიზმა დაადასტურა ვაქცინაციისადმი ნდობასა და ვაქცინაციის ქცევას შორის ძლიერი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი ($r = 0.599$; $p < 0.001$). რეგრესიულმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ ნდობა ვაქცინაციის ქცევის ვარიაციის 35.9%-ს ხსნის ($R^2 = 0.359$). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციური ნდობის კომპონენტები — სახელმწიფოს ვაქცინაციის პოლიტიკისადმი ($M = 3.64$) და ვაქცინაციის პროცესისადმი ($M = 3.62$) ნდობა — სისტემატიურად ჩამორჩება ბიომედიცინური ნდობის მაჩვენებლებს.

კვლევა ადასტურებს, რომ ნდობა ვაქცინაციის ქცევის ცენტრალური განმსაზღვრელი ფაქტორია საქართველოში. ინსტიტუციური ნდობის დეფიციტი — სიტუაცია, სადაც მოსახლეობა ვაქცინებს ენდობა მეტად, ვიდრე მათ მმართველ სახელმწიფო ინსტიტუტებს — სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკის ყველაზე პრიორიტეტულ

გამოწვევად განისაზღვრა. ესტონეთის ჯანდაცვის ციფრული მმართველობის მოდელი — ვაქცინაციის ციფრული რეესტრი, ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაცია — განხილულ იქნა, როგორც საქართველოსთვის ყველაზე რელევანტური საორიენტაციო მოდელი, ისტორიული კონტექსტის სიახლოვის (პოსტ-საბჭოთა გამოწვევები) გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები:
გეგმიური ვაქცინაცია, ინსტიტუციური ნდობა, სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკა, ვაქცინაციისადმი ყოყმანი, საქართველო.

Abstract

This master's thesis aims to empirically examine the relationship between state policy on routine childhood vaccination and public trust in Georgia. The study investigates the structure of vaccination-related trust among parents of young children, the distribution of vaccination behaviour, and the statistical association between trust and vaccination status.

A quantitative research design was employed. A structured survey was administered to 396 respondents (parents of children under the national immunization schedule) using an 5-item Likert-type vaccination trust scale. Data analysis included Cronbach's alpha reliability testing, Pearson correlation analysis, and simple linear regression. The internal consistency of the instrument was confirmed at Cronbach's $\alpha = 0.957$, indicating excellent reliability.

The mean composite trust score among surveyed parents was moderately high ($M = 3.82$, $SD = 0.95$) on a 5-point scale. Of the respondents, 74.2% reported their child as fully vaccinated according to the national schedule, 21.2% as partially vaccinated, and 4.5% as completely unvaccinated. Statistical analysis confirmed a strong, highly significant positive association between vaccination trust and vaccination behaviour ($r = 0.599$; $p < 0.001$). Regression analysis revealed that trust accounts for 35.9% of the variance in vaccination behaviour ($R^2 = 0.359$; $\beta = 0.343$; $p < 0.001$). Crucially, institutional trust components — trust in the state vaccination policy ($M = 3.64$) and trust in Georgia's vaccination process ($M = 3.62$) — consistently scored lower than biomedical trust indicators, revealing a systematic institutional trust deficit.

The study confirms that public trust is a central determinant of vaccination behaviour in Georgia. The identified institutional trust deficit — whereby citizens trust vaccines more than the state institutions managing them — represents the most policy-relevant finding. Estonia's model of digital health governance, encompassing a national electronic vaccination registry, a strong family physician network, and evidence-based public communication, is examined as the most relevant and transferable reference model for Georgia, given the two countries' comparable post-Soviet institutional legacies. The study recommends targeted interventions to enhance institutional

transparency, empower medical professionals as trusted communicators, and develop digital reminder systems aimed at the partially vaccinated population.

Keywords:
Routine Vaccination, Institutional trust, Public health policy, Vaccine hesitancy, Georgia.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქეთევან გოგინაშვილს, გაწეული შრომისა და ნაშრომის მომზადების პროცესში შეტანილი წვლილისთვის.

მადლობას ვუხდი ნაშრომის რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე პირებს.